ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 53

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, შპს „თერმული წყლები“ წარმოდგენილი მისი დირექტორის დემნა დადიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), ხოლო მეორეს მხრივ მხრივ შპს „ინგი-77” წარმოდგენილი მისი დირექტორის შავლეგ ჩადინავას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველძე, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებრე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ქვემოთ მითითებული საქონელი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

N	CPVკოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი(ლარი)	თანხა
1.	42100000	ჰაერის გამშვები სარქველი (ვანტუზ) ხრახნით DN25	2	ცალი	25.00	50.00
2.	44100000	ფოლადის ქურო შიდა ხრახნით დ 25	2	ცალი	1.30	2.60
3.	44100000	დ 25 ცალმხრივი ხრახნი	2	ცალი	1.00	2.00
4.	44100000	ფოლადის სამკაპი დ 42	1	ცალი	6.00	6.00
5.	44100000	ფოლადის მუხლი დ 32*2.5	2	ცალი	3.00	3.00
		სულ:				63.60

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 63.60(სამოცდასამი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

4.2. სამუშაო ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. ხელშეკრულების შესრულების ადგილია: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის N47

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) დღის განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნისნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 11 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 12 ნოემბრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „თერმული წყლები“	შპს „ინგი-77“
მის: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. № 47	მის: ქ.თბილისი, სტანისლავსკის 5
ს/კ: 404419214	ს/კ: 206345748
სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22	
ა/ა GE51TB7604336080100001	
დირექტორი	დირექტორი
დემნა დადიანი	შავლეგ ჩადინაგა
/ხელმოწერა/	/ხელმოწერა/

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „ინგი-77“, წარმოდგენილი დირექტორის შავლეგ ჩადინავას სახით, ს/კოდი 206345748 (შემდგომში - “ჩამბარებელი“), ხოლო მეორეს მხრივ შპს „თერმული წყლები“, წარმოდგენილი დირექტორის დემნა დადიანის სახით, ს/კოდი 404419214 (შემდგომში -„მიმღები“) ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „ჩამბარებელმა“ ჩააბარა, ხოლო „მიმღებმა“ მიიღო 2018 წლის 11 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №53 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 63.60 (სამოცდასამი ლარი და 60 თეთრი) ლარის ღირებულების ქვემოთ მითითებული საქონელი.

N	CPVკოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი(ლარი)	თანხა
1.	42100000	ჰაერის გამშვები სარქველი (ვანტუზ) ხრახნით DN25	2	ცალი	25.00	50.00
2.	44100000	ფოლადის ქურო შიდა ხრახნით დ 25	2	ცალი	1.30	2.60
3.	44100000	დ 25 ცალმხრივი ხრახნი	2	ცალი	1.00	2.00
4.	44100000	ფოლადის სამკაპი დ 42	1	ცალი	6.00	6.00
5.	44100000	ფოლადის მუხლი დ 32*2.5	2	ცალი	3.00	3.00
		სულ:				63.60

მიღება-ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

შპს „თერმული წყლები“
მის: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. № 47
ს/კ: 404419214

დირექტორი
დემნა დადიანი

/ხელმოწერა/

„მიმწოდებელი“

შპს „ინგი-77“
მის: ქ.თბილისი, სტანისლავსკის 5
ს/კ: 206345748

დირექტორი
შავლეგ ჩადინავა

/ხელმოწერა/